

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

ოქმი N 4

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

9 იანვარი 2018 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - *გელა ჩიკვაძე*

სხდომას ესწრებოდნენ: *გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, კობა ტოხვაძე, ოლეგი მიქელთაძე, ვარლამ გიორგაძე, გელა ვარდოსანიძე, თამარ შენგელია, რამაზ არველაძე.*

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთვარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დასწრების ფურცელი თან ერთვის /დანართი N1/.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.

მომხს: /გიორგი ივანიაძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: /გელა ჩიკვაძე/

3. ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფეხბურთო კლუბ „სულორი -ვანი“-ს წესდების დამტკიცების შესახებ- მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: /თამილა თავაძე/

4. იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2018 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცება.

მომხს: /გელა ჩიკვაძე/

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

დანართი N 2

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიამემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახალი საკრებულოს რეგლამენტი შედგება 20 თავისგან და 149 მუხლისგან. ძირითადი ცვლილებებია: საკრებულოს რიგითი სხდომა გაიმართება ყოველი თვის მეორე ოთხშაბათს, ნაცვლად ხუთშაბათისა. რეგლამენტიდან ამოღებულია სიტყვა გამგებელი და გამგეობა და შესაბამისად ჩასმულია მერი და მერია. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს დაემატა ფუნქციები: საკრებულოს ბიუროს სხდომების მომზადების ორგანიზება, საკრებულოს აპარატის მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა, საკრებულოს კომისიების მუშაობის, კომისიებისა და მერიის შესაბამისი სამსახურების, საკრებულოსა და მოსახლეობის ურთიერთობების ხელშეწყობა.

კომისიის წევრებს აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე – 9
წინააღმდეგი – არცერთი
დანართი N3

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით კომისიის სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა სხდომის თავმჯდომარე გელა ჩიკვაიძე, რომელმაც წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების დებულებაში ცვლილების შეტანა და განმარტა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 130-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 28 ნოემბრის N457 ბრძანების თანახმად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საკრებულოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე სამართლებრივი ზედამხედველობის განხორციელებაში საქართველოს პრემიერ მინისტრის ხელშეწყობას.

ზემოაღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბრის N32,N33,N34,N35 და N36 დადგენილებების სამართლებრივი ექსპერტიზა, რა დროსაც გამოვლინდა შემდეგი სახის ხარვეზი:

ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული N1 დანართის - „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების დებულების“ პირველი მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილია, რომ „კომისია იქმნება ამ დებულებით დადგენილი საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე შესაბამის მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით“. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 106¹ მუხლის ნორმიდან

გამომდინარე, მართებული იქნება, ზემოთ დასახელებული დადგენილებებით დამტკიცებულ დანართში „მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის“ ნაცვლად მიეთითოს „მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირები“.

დღის წესრიგის მეორე პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა დაეთანხმა მთავრობის ადმინისტრაციიდან მიღებულ შენიშვნას და ცნობის სახით მიიღეს წარმოდგენილი საკითხი.

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხის პროექტს.

მომხრე - 9
წინააღმდეგი - არცერთი
დანართი N4

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით კომისიის სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფეხბურთო კლუბ სულორი-ვანის“ იურისტი თამილა თავაძე, რომელმაც წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფეხბურთო კლუბ „სულორი -ვანის“-ს (ს/კ 229660168) წესდების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის მეორე პუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25 მუხლის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს ბრძანების პროექტზე „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანი“-ს (ს/კ229660168) წესდების დამტკიცების შესახებ.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირა აღნიშნულ პროექტს.

მომხრე - 9
წინააღმდეგი - არცერთი
დანართი N5

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ ბ.ნ გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2018 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

იანვარ-მარტში მოსამზადებელი დადგენილებების პროექტები:

1. საკრებულოს ნორმატიული აქტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.
2. საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.

3. შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენის შესახებ.

4. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ.

5. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ.

მოსასმენი და განსახილველი ანგარიშები:

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ანგარიში 2017 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში 2017 წელში სარეზერვო ფონდით გაწეული ხარჯების შესახებ

კომისიის წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს კომისიის თავმჯდომარის წარმოდგენილ 2018 წლის სამუშაო გეგმას, აღნიშნული საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

დანართი N6

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაძე

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე